



სსიპ
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

თბილისი



01/11/2018

26-07-4-201811011448

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 26

სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“-ს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 37-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დებულების მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ელექტრონული ფორმით გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსის 2017 წლის 03 თებერვლის N07 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსის 2013 წლის 29 ნოემბრის N81 ბრძანება;
3. სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის აპარატის შტატგარეშე მოსამსახურე, თანაშემწე - ნინო მნელაძე;
4. დაევალოს სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისა და უფლებამოსილი სამსახურებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
5. წინამდებარე ბრძანება გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52);
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიგა გაბელაია

ცენტრის უფროსი

